განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
(აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის/ოსურენოვანთათვის)

შეფასების თარიღ(ებ)ი
13. 12. 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
24.01.2020

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის/აფხაზურენოვანთათვის/ოსურენოვანთათვის) ხორციელდება 2012 წლიდან (აკრედიტაციის თარიღი: 06.09.2012, №346). პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანულ-,სომხურ-, ოსურ-, აფხაზურენოვანი) სკოლა. ქართულ ენაში მომზადების პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ სტუდენტმა შეძლოს: წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა.
პროგრამაში 60 ESTC კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა. აქედან 30 ESTC კრედიტი —I სემესტრში, ხოლო 30 ESTC კრედიტი — II სემესტრში.
პროგრამა მოიცავს 18 სასწავლო კურსს. პირველ სემესტრში არის ექვსი 5 კრედიტიანი კურსი. თითოეული მათგანი წარმოდგენილია 2 ვარიანტად: A და B ბლოკის სასწავლო კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე — ენის შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკში დაიწყებს ენის შესწავლას სტუდენტი.
A ბლოკის სასწავლო კურსები ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ჯგუფის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ჯგუფის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. მეორე სემესტრში სტუდენტთა ორივე ჯგუფისათვის არის 6 სავალდებულო კურსი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #1167 (02.12.2019) თანახმად, 2019 წლის 13 დეკემბერს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, მიხეილ გიორგაძე.
ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო პროცესს, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან. ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვ.
შეხვედრის განმავლობაში განხილულ იქნა პროგრამა, მისი სტრუქტურა, შესაბამისი დოკუმენტაცია, ცალკეული სილაბუსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა:**
  - პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამა მცირეკონტიგენტიანია. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში.
  - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული სისტემა. მიზანშეწონილია, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს, ტუტორებისა და კურატორის მომსახურება. ე.წ. ტიტურიუმში, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პროგრამის სტუდენტების მხარდაჭერას გულისხმობს, ჩართულები არიან პროგრამის კურსდამთავრებულები. სასწავლო პროცესში ჩართვასა და სრულყოფილი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ფაკულტეტი სტუდენტებს დამატებით სთავაზობს კურატორის მომსახურებას. კურატორი წარმაოდგენს პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამისი ფინანსური ანგარიშვალდებულების გათვალისწინებით.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები:
  - დაიხვეწა შეფასების კრიტერიუმები;
  - სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით 20 კრედიტიანი „ქართული ენა-1“ და 15 კრედიტიანი „ქართული ენა-2“ დაიყო 5-5 კრედიტიან სასწავლო კურსებად.

კრედიტების რაოდენობასთან შესაბამისობაში მოვიდა სასწავლო კურსების შინაარსიც.

- კრედიტების გადანაწილების შედეგად პროგრამაში მოიმატა საგნების რაოდენობამ და პროგრამის სასწავლო გეგმა წარმოდგენილია 4, 5 და 6 კრედიტიანი სასწავლო კურსებით. ესენია: 1. „ლექსიკა და დარგის ტერმინოლოგია“ (6 კრედიტი), 2. „წერითი და ზეპირი მეტყველების სტრატეგიები“, 3. „ფუნქციური წერა“, 4. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კური „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ (4 კრედიტი), რომლის მიზანია ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების აღქმისა და მრავალფეროვან გარემოში ადაპტირების უნარის გამომუშავება და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება. კურსი შემუშავდა ეუთოს ეუუკ-ის პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისათვის მომზადება“ ფარგლებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც 2018 წელს იქნა მიღებული და ძალაში შედის 2020 წლის ივნისიდან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლებასა და არაქართულენოვანი მოქალაქეების საზოგადოებაში ინტეგრირებაზე. პროგრამის მიზანია საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს მისცეს: ქართული ენის შესახებ საბაზისო ცოდნა და წარმოდგენა მისი, როგორც სახელმწიფო ენის, მნიშვნელობაზე; ქართული ენის სტრუქტურის (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე, ლექსიკოლოგიის ზოგადი მახასიათებლების, ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის და არჩეული სპეციალობის შესაბამისი დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა; ქართველური კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული ნიმუშების შესახებ ზოგადი წარმოდგენა; ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) ცოდნა; ენობრივი კომპეტენციის გაძლიერებით საზოგადოებაში ინტეგრირების საფუძველი. აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამა მცირეკონტიგენტიანია. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; ○ აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი; ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამა მცირეკონტიგენტიანია. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით: ქართული ენის გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდის ძირითადი მახასიათებლები. არჩეული სპეციალობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების ადეკვატურად გაგება.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს გამოუმუშვდებათ შემდეგი უნარები: ტექსტის სტრუქტურაში გარკვევასა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება. ქართულ სალიტერატურო ენაზე კომუნიკაციის უნარი. არჩეული სპეციალობის მიხედვით სალექციო კურსების მოსმენის, გააზრებისა და შესწავლის მიზნით. ქართულ ენაზე

მიღებული ენობრივი ცოდნის შესაბამისი გარკვეული ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის უნარი; ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენების უნარი; სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება, მუშაობისთვის დროის დაგეგმვა; დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა. ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობის, დაფასებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების აღქმისა და მრავალფეროვან გარემოში ადაპტირების უნარი; სამოქალაქო ცნობიერება და საზოგადოებაში ინტეგრირების უნარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ○ აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაშშვების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებში აზერბაიჯანულენოვანთა და სომხურენოვანთათვის მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულად / სომხურად) მხოლოდ ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა, ხოლო აფხაზურენოვანთა და ოსურენოვანთათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაში (აფხაზურში/ოსურში) გამოცდის ჩაბარება. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში განსაზღვრულია „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში, სწავლის დაწყებამდე პრეტესტის ჩატარება, ხოლო სტუდენტთა საწყისი ენობრივი დონის შესაბამისად, სტუდენტთა განაწილება სხვადასხვა დონის ჯგუფებში. ბლოკის შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე გავლილი პრეტესტის შედეგების საფუძველზე. სტუდენტთა გადანაწილება ჯგუფებში ხორციელდება ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი პრეტესტის შედეგების საფუძველზე, წერითი და კითხვის უნარები – წერილობითი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტისა და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე, სასწავლო წლის I სემესტრის დაწყებამდე. საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) განხორციელდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის (A და B ბლოკების) ჯგუფებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან

○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში 60 ESTC კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა. აქედან 30 ESTC კრედიტი I სემესტრში, ხოლო 30 ESTC კრედიტი — II სემესტრში. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 18 სილაბუსს. პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან ექვს 5-კრედიტიან კურსს. თითოეული კურსი წარმოდგენილია 2 ვერსიად: A და B ბლოკის კურსები. ბლოკებში გადანაწილება ხორციელდება პრეტესტის შედეგების საფუძველზე — შემსწავლელის საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ბლოკში დაიწყებს ენის შესწავლას სტუდენტი. A ბლოკის კურსები ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან I სემესტრის ბოლოს. II სემესტრში 6 სავალდებულო კურსია, რომლებიც ემსახურება სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას. წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან. ასახულია ყველა ის ცვილება, რეკომენდაცია და რეგულაცია, რაც აღნიშნულ საგანმანათლებლო პრორგამაში 2020 წლის ივნისიდან არის სავალდებულო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი ვითარდება თანმიმდევრულად და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. ზოგიერთ სასწავლო კურსს წინაპირობა არ გააჩნია. პროგრამით გათვალისწინებულია 5, 6 ან 4 კრედიტიანი სასწავლო კურსები (1 კრდიტი- 25 საათი).

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლის შესაბამისად, პროგრამა დაყოფილია ენის ფლობის დონეების მიხედვით A და B ბლოკებად. აღნიშნული დაყოფა რელევანტურია პირველ სემესტრში. A ბლოკის კურსები ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან I სემესტრის ბოლოს. A ბლოკში თითოეულ საგანში 4 საკონტაქტო საათია, ხოლო B ბლოკში თიტოეულ საგანში 3 საკონტაქტო საათი.

A ბლოკის სავალდებულო საგნებია: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი) – 1. 1; ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)-1.1; ქართული ენის სამეტყველო

ფუნქციები (კითხვა)-1.1; ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა)-1.1; ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-1.1; ქართული ენის გრამატიკა-1.1.
B ბლოკის სავალდებულო საგნებია: ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი) – 1. 2; ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)-1.2; ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა)-1.2; ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა)-1.2; ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-1.2; ქართული ენის გრამატიკა-1.2.
II სემესტრში 6 სავალდებულო კურსია, რომლებიც ემსახურება სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას. სავალდებულო კურსებია: ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები-2; ქართული ენის გრამატიკა-2; ფუნქციური წერა; წერითი და ზეპირი მეტყველების სტრატეგიები; ლექსიკა და დარგის ტერმინოლოგია; ტოლერანტობა და მრავალფეროვნება (ენისა და საგნობრივი შინაარსის სწავლების ინტეგრირებული კურსი).
სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციების თანდათანობითი განვითარებას და სწავლის შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსებს შორის არსებული ლოგიკური კავშირითა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებით. საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისების შემდგომ კურსდამთავრებულს გააჩნია მოსამზადებელ საფეხურზე მისაღწევი სამივე სახის კომპეტენცია. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სხვა. შეფასების სისტემის უჯრაში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები. ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები ბეჭდური და ელექტრონული სახით, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა შემეცნებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართვით. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტები ყოველწლიურად აქტიურად არიან ჩართული საუნივერსიტეტო, საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, კერძოდ: პოეზიის საღამოებში, სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ ვიქტორინაში, კონკურსში „ვინ უკეთ წერს“... 2014 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული პროგრამის სტუდენტთათვის თბილისში გამართულ ესეების კონკურსში. პირველ ადგილზე გასული ერთ-ერთი სტუდენტი (თურალ ნაზიევი) დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრითა (ლეპტოპით) და სიგელით; 2017-2019 სასწ. წელს მოსამზადებელი პროგრამის კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში: 1) პროექტი „მე მიყვარს ქართული – ჩემი სახელმწიფო ენა“ – კარნახი, 2) საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი უნივერსიტეტთაშორისი ღონისძიებები (კალიგრაფიისა და ესსეების კონკურსები). სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ: ნოვრუზ გუსეინოვი (კარნახი და კალიგრაფიის კონკურსი) და რიმა ბიჩახჩიანი (კალიგრაფიის კონკურსი); 2019 წლის 11 აპრილს ელმირ ბაირამოვმა მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული კალიგრაფიის მასტერკლასში; 24 მაისს სტუდენტები მონაწილეობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვაში; ივნისში აწსუ სახელოვნებო კვირეულის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პროგრამის სტუდენტის ელმირ ბაირამოვისა და კურსდამთავრებულის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტის ჯალალ ახმედოვის მიერ შესრულებული პორტრეტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო სწავლის შედეგების მისაღწევად შერჩეული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. სხვადასხვა კურსების სწავლებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ახსნა-განმარტებითი, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, კომუნიკაციური დიდაქტიკა, შესაძლებლობათა (რეზერვთა) გააქტიურება (Total Phisicasl Response – TPR), დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლება (Task-based language Learning – TBLL).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით, კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არა უმეტეს 30 ქულა; შუალედური გამოცდა - არანაკლებ 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის შემუშავებულია შემდეგი რეგულაციები: ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის სერვისების მეშვეობით – სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისები ერთ-ერთი მიმწოდებელი სტრუქტურაა, რომელიც TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში შეიქმნა 2014 წელს. სერვისი ახორციელებს შემდეგი მიმართულებების საქმიანობას: სტუდენტთა განცხადებების ელექტრონული მოძრაობის ორგანიზება; სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტთა ომბუდსმენი; სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი; სტუდენტთა ტუტორინგი; სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი; საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის ცალკეული კომპონენტების არჩევის წესი; საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტის შემდგომი მობილობით უზრუნველყოფის მექანიზმი. ფაკულტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტებს პერმანენტულად აწვდის საჭირო ინფორმაციას, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაგეგმონ სასწავლო პროცესი და მიიღონ შესაბამისი სწავლის შედეგი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის არსებობს დახმარების სერვისები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ასათვისებელ სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია, ადმინისტრაციული და სოციალური დახმარების გაწევა (მრავალშვილიანი

ოჯახის წევრებზე, უნარშეზღუდულ პირებზე) და დასვენების სერვისები (სპორტი, ხელოვნება და ა.შ.). განსაკუთრებულ შემთხვევებში, სტუდენტებისათვის ხდება ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შედგენა.
ჯგუფისთვის გათვალისწინებულია კურატორის საათები, რაც აისახება კურატორის დატვირთვაში, გამოყოფილია კონსულტაციის დღეები და საათები. სტუდენტს აქვს უფლება კონსულტაციისთვის მიმართოს ლექტორს როგორც სილაბუსით გათვალისწინებულ საკონსულტაციო საათებში, ასევე კორპორაციული ფოსტითა და მობილური ტელეფონის საშუალებით. სტუდენტები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ კურატორი დახმარებას უწევს მათ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. კურატორის დატვირთვა სემესტრში შეადგენს 300 საათს, რაც სრულად შეესაბამება იმ პასუხისმგებლობებსა და საქმიანობას, რაც კურატორს ეკისრება.
სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები და ნებისმიერი ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ კორპორაციულ ფოსტებზე (outlook.office365.com). უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების ამსახველი მასალა ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დამოუკიდებლადაც მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია. უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სისტემატურად ავრცელებს დაგეგმილი თუ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას. უნივერსიტეტი და ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას.
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული სისტემა. მიზანშეწონილია, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული სისტემა. მიზანშეწონილია, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა აკადემიური პერსონალისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან შესაბამისი მიმართულების დოქტორანტები და პრაქტიკოსი მასწავლებლები. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ჩართულები არიან არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებაში, არამედ პროგრამის განხორციელებაში. მათი ნაწილი წარმაოდგენს პროგრამის განმახორციელებლ ადმინისტრაციულ ერთეულს. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ისინი დეტალურ ინფორმაციას ფლობენ პროგრამის ყველა კომპონენტის შესახებ, რაც ადასტურებს მათ აქტიურ ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, გარდა სავალდებულო დატვირთვისა, ჩართულები არიან საქართველოს უნივერსიტეტთა შორისი ქსელში. როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა, აღნიშნული ქსელის ფარგლებში სისტემატიურად ეწყობა შეხვედრები, დისკუსიები ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე. პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ აღნიშნული ქსელის ფარგლებში მიღებული ცოდნა სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ გაზიარებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა მხარისთვის. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ დაადასტურა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე.

პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს, ტუტორებისა და კურატორის მომსახურება. ე.წ. ტიტუროუმში, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პროგრამის სტუდენტების მხარდაჭერას გულისხმობს, ჩართულები არიან პროგრამის კურსდამთავრებულები. სასწავლო პროცესში ჩართვასა და სრულყოფილი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ფაკულტეტი სტუდენტებს დამატებით სთავაზობს კურატორის მომსახურებას. კურატორი წარმაოდგენს პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამისი ფინანსური ანგარიშვალდებულების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები; ○ პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადმიური და მოწვეული პერსონალის CV-ები; ○ პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადმიური და მოწვეული პერსონალის პირადი ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს, ტუტორებისა და კურატორის მომსახურება. ე.წ. ტიტუროუმში, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პროგრამის სტუდენტების მხარდაჭერას გულისხმობს, ჩართულები არიან პროგრამის კურსდამთავრებულები. სასწავლო პროცესში ჩართვასა და სრულყოფილი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად ფაკულტეტი სტუდენტებს დამატებით სთავაზობს კურატორის მომსახურებას. კურატორი წარმაოდგენს პროგრამაში ჩართულ მოწვეულ პერსონალს, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამისი ფინანსური ანგარიშვალდებულების გათვალისწინებით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად მონაწილეობენ ტრენინგებსა და საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტთაშორისი ქსელის ღონისძიებებში. მან 2017-2019 წლებში გაიარა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრისა (CCIIR) და ეუთოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისთვის მომზადება“ ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების ციკლი. იგი სისტემატურად მონაწილეობს თსუ-ს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ თავად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სთავაზობს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს პროფესიული განვითარების ტრენინგებს სწავლების მეთოდების მიმართლებით. პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ასევე სასწავლო პროცესზე ურთიერთდაკვირვებისა ად ურთიერთშეფასების მეთოდებს. წინასწარ დადგენილი პერიოდულობითა და რეგულაციით აკადემიური და მოწვეულიი პერსონალი აკვირდებიან ერთმანეთის ლექციებს, აფასებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების საშუალებით და შედეგებს უზიარებენ როგორც იმ პერსონალს, ვისზეც განხორციელდა დაკვირვება, ასევე უნივერსიტეტის მმართველობით რგოლებს (ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებს). ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოები განიხილავენ დაკვირვების შედეგს და შედეგებზე დაყრდნობით მსჯელობენ პროფესიული განვითარების საჭიროებებზე. უნივერსიტეტში ვიზტისას გამოვითხოვეთ და დავათვალიერეთ ურთიერთდაკვირვების ერთი სრულის ციკლის ამსახველი დოკუმენტები - შეფასების ფორმები, შეფასების შედეგების განხილვების ამსახველი ოქმები და ა.შ. დოკუმენტების დათვალიერებამ დაადასტურა, რომ ურთიერთდაკვირვების პროცესი ქმედითი პრცესია და მიმართულია პერსონალის პროფესიული განვითარებისკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასება; ○ ურთიერთდაკვირვების ფორმები, ოქმის ამონაწერები და ა.შ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტის ვიზტისას დავათავლიერეთ სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთკა, კომპიუტერული ლაბორატორიები და სივრცეები სტუდენტური აქტივობებისთვის. დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია იყ კომპიუტერით, პროექტორით და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ინვენტარით. აღინიშნოს უნივერსიტეტის ბიბლიოთკა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექინიკით, განახლებული ინფრასტრუქტურით და სტუდენტზე ორიენტირებული სერვისებით. კერძოდ, ბიბლიოთკაში დაცული წიგნადი ფონიდით სარგებლობა სტუდენტს შეუძლია როგორც ადგილზე, ასევე სახლიდან გაუსვლელად, კორპორატიული მეილზე ინტეგრირებული პირადი ანგარიშით. ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ან/და ქსეროასლის სახით. უნივერსიტეტის ბიბლიოთკის ელექტრონული სისტემის საშუალებით სტუდენტებს საშუალება აქვთ დაუკავშირდნენ საერთაშორისო წიგნად ფონდებს და სამეცნიერო გამოცემებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთკის საძიებო სისტემაში ინტეგრირებულია აღნიშნული საერთაშორისო ფოდნებსა და გამოცემებში დაცული მასალა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები; ○ თვითშეფასება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტის გაანაგრიშევბისთვის უნივერსიტეტი იყენებს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულ ყოველწლიურ ხარჯის გაანგარიშების სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო სარგოს და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა; წლის განმავლობაში დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი; ინფრასტრუქტურა ალტერნატიული წყაროებიდან გულისხმობს სხვადასხვა ფონდებიდან შეძენილი აქტივის ან საჩუქრად გადმოცემული ქონების ღირებულებას, რომელიც პროგრამის ხარჯს არ აღემატება და წარმოადგენს დამატებით ბენეფიტს. სხვა ხარჯებში შედის სახარჯო მასალები და მარაგები. პროგრამის მდგრადობის საზომად შეიძლება ავიღოთ ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხედვა პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით და მზაობა მის დასაფინანსებლად თუნდაც მისი დაბალი შემოსავლის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის შეფასება მოიცავს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასებას, შეფასების შედეგების ანალიზსა და ანალიზის შედეგების გამოყენებას სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული წარმოადგენს უწყვეტ პროცესს და ემყარება პრინციპს - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები რამოდენიმე საფეხურიანია და მოიცავს პროგრამის კომპონენტების - სილაბუსების, სასწავლო პროცესის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურიკულუმის და ა. შ. შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ისახავს სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და შიდა ხარისხის კულტურის განვითარება. უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; კვლევის განვითარების პოლიტიკა ; მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა; საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხორციელდება სამი პროცედური საშუალებით: საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. ყოველწლიურად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისგან შემდგარი ჯგუფი ახორციელებს პროგრამის თვითშეფასებას წინასწარ შემუშავებული შეფასების სინსტრუმენტის საშუალებით. პროგრამის ყოველწლიურ შეფასებას ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი. თვითშეფასების შედეგად ხდება ცვლილებების იდენტიფიცირება და იგეგმება ცვლილებები. დაგეგმილი ცვლილებები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, იღებს ინფორმირებულ გადაწყვეტილებას პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ასევე სტუდენტთა სისტემური გამოკითხვის შედეგებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების იდენტიფიცირებისთვის. ვიზიტიასას შევისწავლეთ სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების დოკუმენტი და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ფაკულტეტის საბჭოზე წარმოებული მსჯელობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასება; ○ ხარისხის უზუნველყოფასთან დაკავშირებული მტკიცებულებები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი. იმდენად რამდენადაც პროგრამის მონიტორინგის შიდა მექანიზმი უნივერსიტეტში ხორციელდება და პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ რეგულარულად ხდებოდა მისი მოდიფიცირება-გაუმჯობესება. გარდა ამისა, პროგრამის გარეშეფასებისთვის უნივერსიტეტს გამოყენებული აქვს პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული შეფასება. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროგრამის შეფასების შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გარეშეფასების შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასება

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ყოველწლიური თვითშეფასება, რომლის შედეგებსაც ეყრდნობა პროგრამის გაუმჯობესებისათვის მიღებული გადაწყვეტილებები. პროგრამის პერიოდულ შეფასებაში ჩართულია როგორც პროგრამის სამიზნე ჯგუფი - სტუდენტი, კურსდამთავრებული, ასევე მის განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე - პროგრამის ხელმძღვანელი, ადაკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი და ა.შ. გარდა ამისა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ეწყობა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა ფორმატში - დისკუსია, დებატები, განხილვა, პრეზენტაცია და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
მიხეილ გიორგაძე